



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება № 176



2011 წლის 21 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №151 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის 2011 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 106 106 ლარით დანართის შესაბამისად“.

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი დანართით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

## ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შემდეგ ობიექტებს: ქ. ხაშურში – 2 კულტურის ცენტრს, (რუსთაველის ქ.№6 და თამარ მეფის ქ.№14), დაბა სურამში – კულტურის ცენტრს, სოფელ ქვიშხეთში – კულტურის ცენტრს.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია.
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.
- კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.
- ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება.
- თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწოდება.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 106 106 ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	87012
22	საქონელი და მომსახურება	19094
	<b>სულ</b>	<b>106 106</b>

### **პროგრამის ხანგრძლივობა:**

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ხელოვნების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია.
- მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.
- ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდა.

დანართის შესაბამისად განხორციელდეს საახალწლო ღამეს ახალი წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებები.

2012 წლის საახალწლო ღამის

საზეიმო „ნაძვის ხის“

პ რ ო გ რ ა მ ა

საზეიმო საკონცერტო პროგრამა იწყება 10 სთ 30 წუთზე თეატრალური წარმოდგენით. წარმოდგენაში მონაწილეობენ საბავშვო-მუსიკალური თეატრის ბავშვები, თეატრალური წარმოდგენა ითვალისწინებს მსახიობების მიერ ძველი წელის გაცილებასა და ახალი წლის შემოსვლის ინსცენირებას ცეცხლოვანი დრაკონის შემოსვლასა და მის ცეკვას, მოხდება 50 ცალი ჩინური ლამპრის გაშვება, შემდეგ წამყვანები აგრძელებენ პროგრამას. მიესალმებიან ხაშურელებს, ულოცავენ შობა-ახალ წელს და სცენაზე გადიან საესტრადო სიმღერის ვარსკვლავები თბილისიდან, ხაშურიდან. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ კულტურის ცენტრების გაერთიანებისა და ხაშურის სხვადასხვა შემოქმედებითი სტუდიების ინდივიდუალური შემსრულებლები, მხატვრული კოლექტივები, ცეკვის ანსამბლები, საესტრადო და ფოლკლორული კოლექტივები

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე ჩაირთვება პირდაპირი ეთერი საახალწლო მილოცვა – პატრიარქის, პრეზიდენტის. ზუსტად 12 საათზე მრავალჯამიერის ფონზე შემოდის თოვლის პაპა, იქნება საზეიმო ფეიერვერკი, წამყვანები სცენაზე მოუხმობენ რაიონის ხელმძღვანელობას.

გრძელდება საკონცერტო პროგრამა , გათამაშდება სხვადასხვა სახის პრიზები – საუკეთესო ლექსისთვის, სადღეგრძელოსთვის, სიმღერისთვის. პროგრამა მთავრდება 1 საათსა და 30 წუთზე.

საახალწლო საზეიმო „ნაძვის ხის“ მხატვრული პროგრამის

ხარჯთაღრიცხვა

წამყვანები – 2 – 125 ლარი – სულ 250 ლარი.

თოვლის პაპა – 1 – 125 ლარი

საესტრადო სიმღერის შემსრულებლები – 8 – 125-სულ 1000 ლ.

ფოლკლორული ანსამბლი „ხაშური“- 8 -125 ლ -სულ 1000 ლ

ფოკლორული ანსამბლი „ლომისი“- 7 -115 ლ.-805 ლ

როკ-ანსამბლი „trevelin bend“- 5 -115 ლ.-სულ 575 ლ.

მუსიკალური წამყვანი – ოპერატორი – 1 – 300 ლ.

ვიდეო-ოპერატორი – 1 – 300 ლ.

ვიდეო ინჟინერი – 1 – 300 ლ.

საჩუქრები, ტკბილეული თოვლის პაპას ხურჯინისთვის –70 ლ.

საახალწლო ალა-ფურშეტი – 150 ლ.

საზეიმო ფეიერვერკი – 3000 ლ.

ტრანსპორტირების ხარჯი – 125 ლ.

სანტაკლაუსის ორი წყვილი ფორმის შექენა,ერთ ფორმა 100ლ—სულ 200ლ.

ჩინური ლამპარი 50 ცალი ერთი ცალი 5ლ.-სულ 250ლ

საახალწლო მაშხალა 25ცალი ერთი ცალი 4ლ.-სულ100ლ

სანტაკლაუსის ორი მსახიობის მონაწილეობა,ერთი მსახიობი 60ლ.--სულ 120ლ

დრაკონის დამზადება მკერავი-დიზაინი. 1 ცალი 100 ლ--სულ 100ლ.

თეატრალური წარმოდგენის ორი მსახიობის მონაწილეობა,ერთი მსახიობი 60ლ.-სულ120ლ

დრაკონის ცეკვა და მოძრაობა რონისზიების მსვლელობის დროს:

რეზინის წებო 1 ცალი 10ლ --სულ 10ლ.

საღებავი სხვადასხვა ფერის 1 ცალი 3ლ.—სულ 10 ცალი 30ლ.

გუბკა(პაროლინი) 6 ცალი 1 ცალი 9ლ ---სულ 54ლ.

ნაჭერი „ბლოსკი“ 20 მეტრი 1მ. 8ლ. –სულ 160ლ

სულ: 9144 ლარი